



# ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

## სარჩევი:

- Covid-19-თან დაკავშირებული ეკონომიკური შეზღუდვები 02
- ცვლილებები „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში 03
- კონკურენციის პოლიტიკის მოდერნიზება 03
- „საქართველოს შრომის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებები 07
- ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 10
- გამოქვეყნდა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი 10

## 1. Covid-19-თან დაკავშირებული ეკონომიკური შეზღუდვები

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის დადგენილება №322-ით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იზღუდება შემდეგი ეკონომიკური საქმიანობები:

- სათხილამურო ტრასების და სათხილამურო საბაგიროების ფუნქციონირება;
- გასართობი დაწესებულებების საქმიანობა და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება/ჩატარება;
- ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდება ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განხორციელება;
- სპორტული/სავარჯიშო დარბაზების, საუნებისა და სხვა სპა პროცედურების, ასევე საცურაო აუზების საქმიანობა;

აღსანიშნავია, რომ სასტუმროებსა და განთავსების მსგავს საშუალებებში რესტორნების/ბარების/კაფეების, სპორტული დარბაზებისა და საცურაო აუზების ფუნქციონირება სასტუმროსა და განთავსების მსგავსი საშუალებების სტუმრებისთვის მომსახურების განწვევის მიზნით დასაშვებია ხდება 21:00 საათამდე, ხოლო 21:00 საათიდან ფუნქციონირებს მხოლოდ ნომერში მომსახურების სერვისი.

ასევე, გარკვეულ ადგილებში (ქ. თბილისში, ქ. ბათუმში, ქ. ქუთაისში, ქ. რუსთავში, ქ. გორში, ქ. ზუგდიდში, ქ. ფოთში, ქ. თელავში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გუდაურში, ხულოს მუნიციპალიტეტში კურორტ გოდერძიზე და მესტიის მუნიციპალიტეტის დაბა მესტიაში) დაწესებულია დამატებითი შეზღუდვები და ზოგიერთი ეკონომიკური საქმიანობა დაშვებულია მხოლოდ დისტანციურად/ ელექტრონულად, ესენია:

### 1. ნებისმიერი საქონლის/პროდუქტის როგორც საცალო, ისე საბითუმო რეალიზაცია.

გამონაკლისებს წარმოადგენს:

- სურსათის/ცხოველის საკვების, ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის, ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და

- აგროქიმიკატების, სათესლე და სარგავი მასალების რეალიზაცია;
- ელექტროკომუნიკაციის, ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის, წყლის, ბენზინის, დიზელის, თხევადი აირის მიწოდება;
- სამედიცინო დანიშნულების საქონლის, ფარმაცევტული პროდუქტის რეალიზაცია;
- პრესის ჯიხურები;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი რეკომენდაციების დაცვით სავაჭრო ობიექტების სარეალიზაციო სივრცეში მომხმარებელი დაიშვება 07:00 საათიდან 19:00 საათამდე.

### 2. ღია და დახურული ბაზრების/ბაზრობების საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ დისტანციურად.

აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება აგრარული ბაზრების/ბაზრობების საქმიანობაზე, ასევე, სავაჭრო ობიექტების (მათ შორის, სავაჭრო ცენტრების) საქმიანობაზე.

### საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მხოლოდ ელექტრონულად, ან/და პროდუქტის მიტანით/გატანით დასაშვებია შემდეგი საქმიანობა:

- აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომსახურების მიწოდება (აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება წამახალისებელ გათამაშებას);
- კვების ობიექტების/ რესტორნების/ ბარების/კაფეების ფუნქციონირება დასაშვებია მხოლოდ მიტანის მომსახურებითა (ე. წ. „დელივერი“ სერვისი) და პროდუქტის გატანით (ე. წ. „თიქ ევეი“ და „დრაივი“), ხოლო სავაჭრო ცენტრებში განთავსებული კვების ობიექტების/ რესტორნების/ ბარების/ კაფეების ფუნქციონირება დასაშვებია მხოლოდ მიტანის მომსახურებით (ე. წ. „დელივერი“ სერვისი).

### სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ:

- საკარანტინე სივრცეების მოწყობის მიზნით;

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის უშუალოდ ან სხვა რელევანტური უწყებების დახმარებით განხორციელებული შემოწმების შედეგად სამუშაო ადგილებზე ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულებაზე გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე.

გასათვალისწინებელია, რომ ყველა ეკონომიკური საქმიანობა უნდა განხორციელდეს ჯანდაცვის მინისტრის მიერ განსაზღვრული რეკომენდაციების მიხედვით; შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა შესაძლებელია შეაჩეროს სუბიექტის საქმიანობა, თუ აღმოჩნდება კრიტიკული შეუსაბამობა ჯანდაცვის მინისტრის მიერ დადგენილ რეკომენდაციებთან.

აქვე, ყურადსაღებია, რომ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 45<sup>3</sup> მუხლის პირველი და მეორე პუნქტების (რომლის საფუძველზედაც მიღებულია საქართველოს მთავრობის დადგენილება №322) და თვით საქართველოს მთავრობის №322 დადგენილების გარკვეული ნორმების კონსტიტუციურობა, სადავოდ არის გამხდარი, როგორც ფორმალური (კანონით მთავრობისათვის უფლებათა შეზღუდვის უფლებამოსილების დელეგირების ნაწილში), ისე შინაარსობრივი კუთხით.

- იხ. [№1505](#), [№1515](#), [№1516](#) და [№1529](#) კონსტიტუციური სარჩელები.

## 2. ცვლილებები „წამლისა და ფაქმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში

2020 წლის 7 სექტემბრის წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის ცვლილებებით დაზუსტდა „ფარმაცევტული პროდუქტის“ და „ბიოლოგიურად აქტიური დანამატის“ ტერმინები. დაკონკრეტდა აღიარებითი რეჟიმით რეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტის რეგისტრაციის შეჩერების საფუძველი და აღიარებითი რეჟიმით რეგისტრირებულ ფარმაცევტულ პროდუქტზე დამატებული განსხვავებული შეფუთვა-მარკირების პროდუქტების რეგისტრაციის

შეჩერების საფუძველები. [განმარტებითი ბარათის](#) მიხედვით ცვლილებები გამოწვეულია აღიარებითი რეჟიმით რეგისტრირებული პროდუქტებისათვის რეგულაციების ნათლად წარმოჩენის მიზნით, მსგავსად ეროვნული რეჟიმით რეგისტრირებული ფარმაცევტული პროდუქტების რეგულაციისა. საყურადღებოა, რომ გახანგრძლივდა სარეგისტრაციო პროცედურების ვადა.

## 3. კონკურენციის პოლიტიკის მოდერნიზება

### 3.1. მნიშვნელოვანი ცვლილებები

2020 წლის 18 სექტემბერს მიღებულმა ცვლილებებმა მოიცვა „კონკურენციის შესახებ“ კანონისა და მისგან გამომდინარე სხვა აქტების რიგი შინაარსობრივი და ტექნიკური საკითხები. მათ შორის, აღსანიშნავია:

- „კონკურენციის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებებით გაფართოვდა კანონის მოქმედების სფერო, რომლის მიხედვით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ურთიერთობები აღარ წარმოადგენს კანონის მოქმედების სფეროდან გამონაკლისს.
- ევროპულ რეგულაციებთან შესაბამისობაში ჩამოყალიბდა კანონის მიზნის ახალი რედაქცია, რომლითაც ყურადღება გამახვილდა, რომ კანონი არამხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ეკონომიკური აგენტისთვის *ექსკლუზიური უფლებამოსილების* მინიჭებაა დაუშვებელი, არამედ ახალი რედაქციით ისეთი *შერჩევითი ეკონომიკური უპირატესობის* მინიჭებაც დაუშვებელი უნდა იყოს, რომელიც არამართლზომიერად ზღუდავს კონკურენციას.

ცვლილებები შეეხო კანონში გამოყენებულ რიგ ტერმინებს:

- **ეკონომიკური აგენტი** - დეფინიციაში მოექცა როგორც ფიზიკური, ასევე, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს

ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა.

- ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა „**ჰორიზონტალური შეთანხმების**“ ცნება. აღნიშნული ცვლილებით აღმოიფხვრა ის ხარვეზი, რომელიც ჰორიზონტალურ შეთანხმებას არ უკავშირებდა ერთსა და იმავე დონეზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს, რაც გაუმართლებლად აფართოებდა ცნებას და შეუმჩნეველს ხდიდა მიჯნას ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ შეთანხმებებს შორის.
- განისაზღვრა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოებს არამხოლოდ **საგადასახადო შეღავათების** დაწესება ეკრძალებათ, რომელიც ეკონომიკურ აგენტს კონკურენტებთან ან პოტენციურ კონკურენტებთან შედარებით უპირატესობას მას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, არამედ **ნებისმიერი ტიპის შეღავათის**, რომელსაც მსგავსი ეფექტი გააჩნია.

## კონცენტრაცია

შინაარსობრივად და ტექნიკურად გაიმართა კონცენტრაციის ნაწილიც. ამ კანონის მიზნებისათვის კონცენტრაციის ცნების ქვეშ მოექცა:

- ა) ორი ან ორზე მეტი დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის შერწყმა, რის შედეგადაც ერთი ეკონომიკური აგენტი წარმოიქმნება;
- ბ) ფასიანი ქალაქების ან წილის შექმნით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირი ან ირიბი, სრული ან ნაწილობრივი კონტროლის მოპოვება სხვა ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ ან სხვა ისეთი ერთი ან რამდენიმე პირის მიერ, რომელიც/რომლებიც ამ კანონის მიზნებისთვის არ არის/არ არიან მიჩნეული ეკონომიკურ აგენტად/ეკონომიკურ აგენტებად და რომელიც/რომლებიც უკვე აკონტროლებს/აკონტროლებენ სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს;

გ) ერთობლივი საწარმოს შექმნა, თუ იგი ხანგრძლივად ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური აგენტის ყველა ფუნქციას.

წინა რედაქციისგან განსხვავებით, ერთი და იმავე პირის სხვადასხვა ეკონომიკური აგენტის მმართველ ორგანოებში მონაწილეობა არ იწვევს კონცენტრაციას. ცვლილებით დადგინდა პრეზუმცია, რომ თუ კონცენტრაცია წარმოქმნის ან აძლიერებს დომინანტურ მდგომარეობას, ივარაუდება, რომ ასეთი კონცენტრაცია არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური აგენტი საპირისპიროს დაასაბუთებს.

თუ კონცენტრაციით მოსალოდნელია ეფექტიანი კონკურენციის არსებითი შეზღუდვა, ეკონომიკურმა აგენტს ენიჭება უფლებამოსილება, სააგენტოს შესთავაზოს შესაბამისი სტრუქტურული ან ქცევითი ხასიათის ქმედებების განხორციელება კონკურენციის შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით. სააგენტოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სუბიექტს შეეძლება კონცენტრაციის განხორციელება მხოლოდ შეთავაზებული ცვლილებების შედეგად. შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა ან სასამართლოს ჩართულობით პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. გარდა ამისა, ეკონომიკურ აგენტს შეეძლება დაეკისროს სხვა ვალდებულებები კონკრეტულ ვადაში, მათ შორის საწარმოს, წილის, აქტივების, ფასიანი ქალაქების ან მათი ნაწილის გასხვისების, რეორგანიზაციის განხორციელების, კონკრეტული ხელშეკრულების შეწყვეტის ვალდებულებები.

ცვლილებებით მოწესრიგდა კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების რეკვიზიტები, განისაზღვრა სააგენტოს მომსახურების საფასური და შემჭიდროვებული ვადები, საჯაროობისა და საქმისწარმოების გამჭვირვალობის მოთხოვნები.

აღსანიშნავია, რომ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენის ვალდებულებისგან გათავისუფლების დადგინდა მხოლოდ სამი საფუძველი:

- ეკონომიკური აგენტის გადახდისუნარო მდგომარეობის გამო კონცენტრაცია - მოხდა მითითება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური

დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის პროცედურებზე, რომელიც ამოქმედდება 2021 წლის 1 აპრილიდან. აღნიშნულ დრომდე ვრცელდება მოქმედი „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი.

- კონტროლი მოიპოვება დროებით, იმ პირობით, რომ არ იქნება გამოყენებული წილის ფლობით მოპოვებული უფლებები (მათ შორის, ხმის უფლება), გარდა ინფორმაციის მიღების, წილის/აქციების გაყიდვისა და დივიდენდის მიღების უფლებებისა და სესხის უზრუნველყოფის შემთხვევაში საკუთრებაში მიღების უფლებისა;
- კონცენტრაცია ურთიერთდამოკიდებულ პირებს ეხება.

დაკონკრეტდა, რომ თუ კონცენტრაციის მონაწილე ყველა მხარე ეკონომიკის ერთი რეგულირებადი სფეროს ეკონომიკური აგენტია, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება უნდა წარედგინოს აღნიშნული სფეროს მარეგულირებელ ორგანოს, მათ შორის უნდა მიეთითოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენის ვალდებულების განათავისუფლების საფუძვლებიც.

### **კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი**

კონკურენციის სააგენტოს 2020 წლის 26 ოქტომბრის ბრძანება N 39-ით დამტკიცდა კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი, რომელმაც ძალადაკარგულად გამოაცხადა 2014 წლის N230/09-4 ბრძანება და უფრო დეტალურად მოაწესრიგა კონცენტრაციის ნაწილი.

ბრძანების მიხედვით სააგენტოსათვის შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომლის მონაწილე პირების ერთობლივი წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს. თუ კონცენტრაციაში მონაწილეობს პირი, რომელიც რეგისტრირებულია კონცენტრაციის

განხორციელების წელს, მხედველობაში მიიღება მიმდინარე კალენდარული წლის განმავლობაში კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენის მომენტისათვის არსებული წლიური ბრუნვა.

ბრძანება, აგრეთვე, შეიცავს წლიური ბრუნვის გამოთვლის ინსტრუქციებს, შეტყობინების წარდგენის, დასაშვებობისა და განხილვის პროცედურებს. ასევე, სააგენტოსთან თანამშრომლობისა და ინფორმაციის მიწოდების წესებს.

აქვე, აღსანიშნავია, რომ კონცენტრაციის მონაწილეებს შეტყობინების ვალდებულება წარმოეშობათ შესაბამისი შეთანხმების ძალაში შესვლამდე ან/და კონცენტრაციის ფაქტობრივ განხორციელებამდე. იმ შემთხვევაში, თუ კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად გამოიყენება ის უფლებები, ხელშეკრულებები ან სხვა საშუალებები, რომლებიც ცალ-ცალკე ან ერთად ქმნის ეკონომიკურ აგენტზე არსებითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას და აღნიშნული კონტროლის მოპოვება ხდება ერთზე მეტი ტრანზაქციის საშუალებით, კონტროლის მოპოვებულ პირს შეტყობინების ვალდებულება წარმოეშობა ყოველი ტრანზაქციის უშუალო განხორციელებამდე უწყვეტი სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

### **სახელმწიფო დახმარება**

ცვლილებები შეეხო სახელმწიფო დახმარების ნორმებსაც. სააგენტოს სახელმწიფო დახმარების გამცემი ორგანოს განცხადების წარდგენის შემდეგ საქმის განხილვისთვის განესაზღვრა 30 სამუშაო დღე, რომელიც მოცულობისა და სირთულის შესაბამისად შეიძლება გახანგრძლივდეს 3 თვემდე. ამ ვადაში დასკვნის გაუცემლობა მიიჩნევა დადებით პასუხად. სააგენტოს დასკვნა წარედგინება სახელმწიფო დახმარების გამცემ ორგანოს და საქართველოს მთავრობას, რომელიც უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში თავად იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის საკითხზე. ამასთან, ცვლილებებით განისაზღვრა ინდივიდუალური სახელმწიფო დახმარების უმნიშვნელო ოდენობის წესი და პროცედურა.

## სააგენტოს უფლებამოსილებათა წრე და ორგანიზაციული მოწყობა

16/09/2020 ცვლილებები შეეხო სააგენტოს უფლებამოსილებისა და ორგანიზების წესებს. ახალი რედაქციის მიხედვით სააგენტო ანგარიშვალდებულია როგორც საქართველოს პარლამენტის, ასევე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე. სრულებით იცვლება სააგენტოს მართვის მომწესრიგებელი ნორმები. 2021 წლის 1 ივნისიდან სააგენტოს მართვას განახორციელებს საბჭო და აღმასრულებელი დირექტორი.

ცვლილებების შედეგად სააგენტოს განესაზღვრა, რომ კონფიდენციალურობის ვალდებულება არამხოლოდ კომერციულ ან საგადასახადო საიდუმლოების დაცვაზე ვრცელდება, არამედ ნებისმიერ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, რომელიც, სხვა საიდუმლოებებთან ერთად, შეიძლება შეიცავდეს კომერციულ საიდუმლოებას, საბანკო საიდუმლოებას ან საგადასახადო საიდუმლოებას. ახალი რედაქციით სააგენტო უფლებამოსილი გახდა ეკონომიკური აგენტის დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება მისთვის დაკისრებული ჯარიმის არაუმეტეს 1 წლის ვადით გადანაწილების თაობაზე.

## აღსრულება

კონკურენციის შესახებ კანონში ცვლილებები შეეხო აღსრულების პროცედურებსაც. დაწესდა სააგენტოს ვალდებულება წარდგინილი საჩივარი გაუგზავნოს მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს, გარდა კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებისა და შეთანხმებული ქმედების სავარაუდო დარღვევის თაობაზე. გაფართოვდა სააგენტოს მიერ საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველები, მათ შორის, განისაზღვრა პირობითი ვალდებულებების შესრულების წინაპირობები და საბოლოო შედეგები. მოდიფიკაცია განიცადა საქმის მოკვლევის წესმა.

ახალი რედაქციით სააგენტოს შესაბამისი ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემონგების უფლება აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. განისაზღვრა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სააგენტომ უნდა გამართოს შემაჯამებელი სხდომა, რომელზეც

მხარეებს პოზიციების წარდგენის შესაძლებლობა აქვთ გადაწყვეტილების პროექტთან მიმართებით, რისთვისაც განსაზღვრული ვადა არ უნდა იყოს 25 სამუშაო დღეზე ნაკლები.

ცვლილებით დადგინდა, რომ დარღვევის თაობაზე საქმის შესწავლის ხანდაზმულობის ვადაა შესაბამისი ქმედების დასრულებიდან 3 წელი, მოკვლევის დაწყება, კი ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერების საფუძველია.

## ეკონომიკის რეგულირებად სფეროში კონკურენციის პოლიტიკის აღსრულება

16/09/2020-ის ცვლილებები შეეხო ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოს მიერ ამ კანონის დებულებათა გამოყენების წესსაც. განისაზღვრა პროცედურები და თანამშრომლობის ფორმები. თუ ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში დარღვევის შესახებ ეცნობა სააგენტოს, ის ვალდებულია 5 სამუშაო დღის ვადაში გადაუგზავნოს მარეგულირებელ ორგანოს დარღვევის შესახებ ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თავადაც შეუძლია კომპეტენციის დადგენა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ 2021 წლის 1 ივნისამდე პერიოდი ეკონომიკის რეგულირებადი სფეროსთვის განისაზღვრება გარდამავალ პერიოდად.

## სანქციები და ჯარიმები

სანქციების ნაწილში შესული ცვლილებების შედეგად გაფართოვდა ჯარიმის დაკისრების არეალი და დეტალურად მოწესრიგდა მათი ოდენობა დარღვევის ბუნებიდან გამომდინარე. მათ შორის აღსანიშნავია:

- სააგენტოსთვის ინფორმაციის მიუწოდებლობის, არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდებისთვის დადგინდა ჯარიმის ფიქსირებული ოდენობა: იურიდიული პირის შემთხვევაში 3 000 ლარი, ხოლო ფიზიკურ პირზე 1 000 ლარი. განმეორებითი დარღვევა იურიდიული პირის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო ფიზიკური პირის 3 000 ლარის ოდენობით იწვევს;
- კონკურენციის შემზღვეველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება და

შეთანხმებულ ქმედებაში მონაწილეობა იწვევს პირის დაჯარიმებას წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 5%-ის ოდენობით, ხოლო განმეორების შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მისი წლიური ბრუნვის 10%-ს.

- კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან შეუთავსებლობის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის საშუალო დღიური ბრუნვის 5%-ს. ხოლო, ჯარიმის ოდენობა მისი ფიზიკური პირისთვის ან სხვა პირისთვის დაკისრების შემთხვევაში, რომელიც ამ კანონის მიზნებისთვის არ არის მიჩნეული ეკონომიკურ აგენტად, თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს.
- არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლენის შემთხვევაში ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის წლიური ბრუნვის 1%-ს, ხოლო აღნიშნული დარღვევის სამართლებრივი საფუძვლის აღმოუფხვრელობის ან ამ დარღვევის განმეორების შემთხვევაში - 3%-ს.

ცვლილებებით, ასევე, დაკონკრეტდა თანამშრომლობის პროგრამაში მონაწილეობის კრიტერიუმები. ასევე, განისაზღვრა, რომ პირს სააგენტოს გადაწყვეტილების, მათ შორის ჯარიმის ოდენობის ნაწილში, გასაჩივრების უფლება აქვს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

### 3.2. „კონკურენციის შესახებ“ კანონში ძირულმა ცვლილებებმა რიგი კანონების მოდიფიკაცია გამოიწვია. მათგან აღსანიშნავია:

- „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებით განისაზღვრა, რომ კომერციული ბანკების გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა) ან შერწყმა (გაერთიანება,

მიერთება) შეიძლება მხოლოდ ეროვნული ბანკის წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ.

- „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში განხორციელებული ცვლილებებით ეროვნული ბანკი ხდება საფინანსო სექტორის წარმომადგენლის (გარდა ანგარიშვალდებული საწარმოსი), სესხის გამცემი სუბიექტის ან საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მიერ კონკურენციის შესაძლო დარღვევის თაობაზე საჩივრის/განცხადების და კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ადრესატი. ახალი რედაქციით ეროვნული ბანკი უფლებამოსილია კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფისას უპირატესობა მიანიჭოს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფას.
- „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში კომისიის ძირითად ფუნქციებსა და ამოცანებს დაემატა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება. დაზუსტდა და დამატებით მოთხოვნებს დაექვემდებარა საქმის განხილვისა და მოკვლევის წესები ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება: ა) ავტორიზებული პირის საოპერაციო აქტივის შექმნას; ბ) ორი ან ორზე მეტი პირის, რომელთაგან ერთ-ერთი ავტორიზებული პირია, შერწყმის შედეგად გაერთიანებას; გ) ავტორიზებული პირის წილის ან აქციების შექმნა, რის შედეგადაც შემძენი პირის მფლობელობაში ან/და ურთიერთდამოკიდებულ (აფილირებულ) პირთა მფლობელობაში ჯამში ავტორიზებული პირის წილის ან აქციების 5 პროცენტი ან 5 პროცენტზე მეტი აღმოჩნდება.

ასევე, განისაზღვრა ავტორიზებული პირის მიერ კონკურენციის პოლიტიკით დადგენილი მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „კონკურენციის შესახებ“ კანონით“ პასუხისმგებლობაც. მათ შორის, შესაძლებელი ხდება ისეთი სტრუქტურული და ქვევითი ხასიათის ქმედებების განხორციელების მოთხოვნა, როგორც არის გარიგების პირობების შეცვლა, გარიგების ბათილობა,

პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, წილის ჩამორთმევა ან გასხვისება, სპეციალური მმართველის დანიშვნა და სხვა.

#### 4. „საქართველოს შრომის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებები

2020 წლის 29 სექტემბერს ძირეული ცვლილებები შევიდა საქართველოს შრომის კოდექსში. მათგან აღსანიშნავია:

- **დისკრიმინაცია** - კოდექსში გათვალისწინებული იქნა დისკრიმინაციის ცნება. განიმარტა პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია. დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლებში განსაზღვრა და დაზუსტება დამსაქმებელს დასაქმების კრიტერიუმების შერჩევასას თუ შრომითი ურთიერთობის ნებისმიერ შემდგომ ეტაპზე სიფრთხილისკენ მოუწოდებს.
- **ხელშეკრულების ფორმა** - განხორციელებული ცვლილებების შედეგად სავალდებულო გახდა ხელშეკრულების ნერილობითი ფორმა ერთ თვეზე მეტი ვადით დადებული კონტრაქტებისთვის. სავალდებულოა ხელშეკრულებაში შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესების გათვალისწინება.
- **სამუშაო დრო** - ცვლილება შეეხო ღამის სამუშაოზე დასაქმებისა და ცვლებში მუშაობის რეგულაციებს. აღნიშნული მოწესრიგებით დამსაქმებელი ვალდებული ხდება დასაქმებულს კვირის განმავლობაში არანაკლებ 24 საათიანი დასვენება განუსაზღვროს.
- **სტაჟირება** - ცვლილებებით ჩამოყალიბდა სტაჟირების ცნება. ის განიმარტება, როგორც დამსაქმებლისთვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ ან მის გარეშე, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, პროფესიული ცოდნის, უნარის ან პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად. მნიშვნელოვანია, რომ დასაქმებულს ეკრძალება სტაჟირების მიღება შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისგან თავის არიდების ან სხვა დასაქმებულის ჩანაცვლების მიზნით. სტაჟირების ხელშეკრულების შედგენისას ყურადღება მახვილდება მისი არსის სწორად და ნათლად ჩამოყალიბებაზე.

- **სოციალური გარანტიები ორსულთათვის** - კანონი ორსულთათვის დამატებით სოციალურ გარანტიებს ითვალისწინებს: ანაზღაურებადია სამედიცინო გამოკვლევების ჩასატარებლად დახარჯული დრო; ორსულ, ახალნამშობიარებ ან მეძუძურ ქალს გონივრული მისადაგების ფარგლებში უფლება აქვს, მოითხოვოს იმავე დამსაქმებელთან თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი სამუშაოს შესრულება, აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში დასაქმებული ვალდებულია შეუნარჩუნოს მას დაკავებული პოზიცია და გაათავისუფლოს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებისგან.
- **ხელშეკრულების შეწყვეტა** - გარკვეულ შემთხვევებში დამსაქმებელი ვალდებული ხდება შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში განმარტოს დასაქმებულის გათავისუფლების მიზეზი. დასაქმებულს კი პირდაპირ ეძლევა ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებულ დავაზე განმეორებითი მიმართვის უფლება, იმ შემთხვევაშიც კი თუ მის მიერ მოხდა სარჩელის გამოხმობა.
- **ხანდაზმულობის ვადა** - შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებით დადგენილი სპეციალური ვადების გარდა, ნებისმიერი სხვა სარჩელის შეტანისათვის დადგინდა ერთ წლიანი ხანდაზმულობა, რაც ერთმნიშვნელოვნად აწესრიგებს სასამართლოს არაერთგვაროვან პრაქტიკას ამ მიმართულებით.
- **სამუშაო დროის აღრიცხვა** - 2021 წლის 1 იანვრიდან სავალდებულო ხდება დამსაქმებულის მიერ დასაქმებულთა ნამუშევარი დროის აღრიცხვა და მასზე დასაქმებულისთვის ინფორმაციის მიწოდება. აღრიცხვის ფორმა მუშავდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ.

*ბრძანების პროექტის* თანახმად სამუშაო დროის აღრიცხვა სავალდებულოა საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დამსაქმებულისთვის (ფიზიკური ან იურიდიული პირი ან/და პირთა გაერთიანება) და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს



კანონით განსაზღვრული საჯარო დაწესებულებებისათვის, რომელთათვისაც გარკვეული სამუშაო შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება.

სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა არის დასაქმებულთა სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის ყოველთვიური დოკუმენტი, რომელიც მოიცავს წერილობით ან ელექტრონული ფორმით აღრიცხულ მონაცემებს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი საათების შესახებ, მათ შორის მონაცემებს, დროებითი შრომისუნარობის, დაგვიანების, იძულებითი მოცდენის, ასევე, დისტანციურად ნამუშევარი საათებისა და სასწავლო კურსებზე დასწრების შესახებ.

ბრძანების პროექტით დამსაქმებელი ვალდებული ხდება სამუშაო დროის (ნამუშევარი საათების) აღრიცხვის დოკუმენტი შეინახოს ერთი წლის განმავლობაში.

- **ანგარიშვალდებულება დასაქმებულების მიმართ** - საწარმოში, რომელშიც რეგულარულად არანაკლებ 50 დასაქმებულია, დამსაქმებელი ვალდებულია მათ მიაწოდოს ინფორმაცია და გამართოს კონსულტაცია შემდეგ საკითხებთან მიმართებით:
  - საწარმოს, როგორც არსებული და მომავალი, საქმიანობისა და ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით;
  - დასაქმების მდგომარეობის, სტრუქტურის, შესაძლო განვითარებისა და დაგეგმილი ღონისძიების შესახებ, რომელმაც შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებასა და შრომის პირობებზე ან შრომითი ურთიერთობის გაგრძელებაზე;
  - გადაწყვეტილებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლოა შრომის ორგანიზებაში არსებითი ცვლილებების განხორციელება გამოიწვიოს.
- **შრომის ინსპექცია** - სახელმწიფო ზედამხედველობას საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესრულებაზე უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შრომის ინსპექცია.

## ინსპექტირების დანების საფუძველი

- დაინტერესებული პირის საჩივარი;
- შრომის ინსპექციის ინიციატივა ან
- „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ნორმების დარღვევის თაობაზე ნებისმიერი იდენტიფიცირებადი პირის შეტყობინება.

## ინსპექტირების ფარგლები:

შრომის ინსპექტორს სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში დაშვების მიზნით გადაეცემა მაიდენტიფიცირებელი ბარათი, რომელიც უნდა წარუდგინოს დამსაქმებელს/მის წარმომადგენელს ან სამუშაო ადგილის ან სამუშაო სივრცის მფლობელს, მესაკუთრეს ან მის წარმომადგენელს.

- ინსპექტორი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შევიდეს და შეამოწმოს სამუშაო ადგილი; მოითხოვოს სამუშაო ადგილი ხელშეუხებლობა; გამოითხოვოს და გამოიკვლიოს ნებისმიერი მასალა, ნივთი ან ნივთიერება, რომელიც დაკავშირებულია შესაძლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან; დალუქოს ანდა ამოიღოს ნებისმიერი მასალა, ნივთი, ნივთიერება ან დოკუმენტი; აიღოს ნიმუშები; განახორციელოს აზომვა, ფოტოგადაღება, ვიდეოგადაღება; გამოკითხოს სამუშაო ადგილზე ან სამუშაო სივრცეში მყოფი ნებისმიერი პირი; შეამოწმოს ან დაათვალიეროს დამსაქმებლის სამუშაო ადგილი ან სამუშაო სივრცე, მასალა, მანქანა-დანადგარი ან ნებისმიერი სხვა მოწყობილობა ან/და ხელსაწყო; ნებისმიერ პირს მოსთხოვოს ამ პირის განკარგულებაში არსებული მასალის, ნივთის, ნივთიერების ან დოკუმენტის გადაცემა ან/და ნებისმიერ დოკუმენტში არსებული ჩანაწერის განმარტება;
- შრომითი ნორმების დარღვევის დადგენის შემთხვევაში შრომის ინსპექცია უფლებამოსილია გამოიყენოს შემდეგი ადმინისტრაციული სახდელები:
  - გაფრთხილება;
  - ჯარიმა;
  - სამუშაო პროცესის შეჩერება.

შრომის ინსპექციის სამსახური სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით, აქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი“ და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ფარგლებში განსაზღვროს, როდის და რომელი ადმინისტრაციული სახდელი უნდა იქნეს გამოყენებული, ხოლო ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში - რა ოდენობის ჯარიმა უნდა იქნეს დაკისრებული. ადმინისტრაციული სახდელი დარღვევის თანაბომიერი უნდა იყოს.

**პროფესიული კავშირის დაფუძნება** - „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონის ახალი რედაქციით პროფესიული კავშირის დაფუძნება შესაძლებელია სულ მცირე 25 პირის ინიციატივით. ცვლილებებამდე განსაზღვრული იყო 50 პირის მიერ ინიცირება.

**საწარმოს გადაცემა** - ცვლილებებით განისაზღვრა, რომ საწარმოს გადაცემად ითვლება გარიგების ან კანონის საფუძველზე საწარმოს, ბიზნესის ან საწარმოს ან ბიზნესის ნაწილის გადაცემა სხვა დამსაქმებელზე, რომელიც, მათ შორის, გულისხმობს იდენტობის/არსებითი მსგავსების შემთხვევაში ეკონომიკური საქმიანობის გადაცემას და ძირითადი თუ დამხმარე ეკონომიკური საქმიანობების განსახორციელებლად რესურსების ორგანიზებულ დაჯგუფებას.

დაუშვებელია საწარმოს გადამცემის ან საწარმოს მიმღების მიერ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა საწარმოს გადაცემის საფუძველით, თუმცა აღნიშნული არ გამოირიცხავს შესაბამისი წინაპირობების დაცვით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას ეკონომიკური გარემოებების, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებებისას, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას.

დასაქმებულებს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენლებს, დასაქმებულთა გაერთიანებას, რომლებსაც ეხებათ საწარმოს გადაცემა, წინასწარ უნდა მიეწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- საწარმოს გადაცემის თარიღი, საწარმოს გადაცემის მიზეზები;
- საწარმოს გადაცემის სამართლებრივი, ეკონომიკური და

სოციალური შედეგები დასაქმებულთათვის;

- ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ხორციელდება დასაქმებულების მიმართ.

საწარმოს გადაცემასთან დაკავშირებული შეზღუდვები არ ვრცელდება „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში გადახდისუნარობისას საწარმოს გადაცემის შემთხვევაზე.

## 5. ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში

„შრომის სამართლის რეფორმის პაკეტის“ ფარგლებში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა ორი მნიშვნელოვანი თავი: ა) **თავი XLIV<sup>4</sup>**, რომლითაც მოწესრიგდა კოლექტიური შრომითი მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმების სასამართლოს მეშვეობით აღსრულების მექანიზმი; და ბ) **თავი XLIV<sup>5</sup>**, რომლითაც დარეგულირდა გაფიცვა და ლოკაუტთან დაკავშირებული სამოქალაქო სამართალწარმოების მექანიზმი. კერძოდ, განისაზღვრა გაფიცვის და ლოკაუტის უკანონოდ ცნობის, გადადების, შეჩერების შესახებ სამართალწარმოების პროცედურები და საფუძვლები. ცვლილებების მიხედვით, მსგავსი სარჩელები დაჩქარებულად განიხილება - სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღებიდან ერთი თვის ვადაში. აღნიშნული სარჩელების განსჯად სასამართლოდ მიიჩნევა რაიონული (საქალაქო) სასამართლო „დამსაქმებლის“ ადგილსამყოფელის მიხედვით.

## 6. გამოქვეყნდა „ჩეაბილიტაციისა და კხედიტორთა კოდექსის დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი

აღსანიშნავია, რომ მიღებულ იქნა „ჩეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი, რომელიც გადახდისუნარობის საქმისწარმოების პროცესის სრულიად ახალ, მოდერნიზებულ პროცედურებს შეიცავს. კანონი ძირითადად ამოქმედდება 2021 წლის 1 აპრილიდან.


**საკონტაქტო ინფორმაცია:**

**საქაჩოვედო, ქ. თბილისი,  
ვაჟა - ფშავედას გამზიხი 71, ბლოკი IV,  
სახიუდი IV, ოფისი 28**

ტელ: (+995) 322 207407 (ext. 101)

მობილური: (+995) 555 018585

ელ-ფოსტა: [info@nplaw.ge](mailto:info@nplaw.ge)



**NODIA,  
URUMASHVILI  
& PARTNERS**